მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ო ქ მ ი N04

ქ. მარნეული 28.04.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, ტარიელ მამედოვი, ბესიკ გელენიძე, ვასილ ხახულაშვილი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ვანო ბურნაძე, არსენ ახვერდიანი, მაია გელაშვილი, ომარ ირიშოვი, მახარატ ალახვერდიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნაშ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, ნარგიზა ალიევა.

არ ესწრებოდა: რიჩარდ გიგანი, როვშან ისკანდაროვი, თეონა ფარჯიანი, ლაშა ქველაძე, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ლევონ აკოპიანი, ადილ გურბანოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, ანარ პირიევი, მეხტი ასკეროვი, დავით ქიმაძე, მარინა პეტროვა.

სხდომას ესწრებოდა - მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **როინი დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი,** მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი **რუსუდან გადელია,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური და კომპიუტერული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი **კოტე ბოჭოიძე,** მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები თან ერთვის.

ასევე ესწრებოდნენ: **მარნეული TV–სა** და **რადიო მარნეულის** წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 აპრილის N32-3222117171 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 27 აპრილის N32-3222117171 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ითხოვა მხარდაჭერა, რათა მიეცეს თანხმობა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს, შესაბამისი სამსახურების მონაწილეობით, განახორციელოს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის 26 მაისთან დაკავშირებით სახელმწიფო დროშის შეძენა/მონტაჟთან დაკავშირებული შესყიდვა.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N18. 28.04.2022 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მეოთხე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ამირან გიორგაძე